რას იტყვი, თუ შევასრულებ სავალდებულო ლოცვებს, ვიმარხვებ რამადანში, გავაკეთებ იმას, რაც დასაშვებია, და ავკრძალავ იმას, რაც აკრძალულია

ჯააბირისგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): ერთმა კაცმა ჰკითხა ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): „რას იტყვი, თუ შევასრულებ სავალდებულო ლოცვებს, ვიმარხვებ რამადანში, გავაკეთებ იმას, რაც დასაშვებია, და ავკრძალავ იმას, რაც აკრძალულია, და ამას აღარაფერს დავამატებ, შევალ სამოთხეში?“ უპასუხა: „დიახ“. კაცმა თქვა: „ ვფიცავ ალლაჰს, ამაზე არაფერს დავამატებ“.
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც ასრულებს ხუთ სავალდებულო ლოცვებს, არ უმატებს მათ ნაფილ (ნებაყოფლობით) ლოცვებს, მარხულობს მხოლოდ რამადანის თვეს, ნებაყოფლობითი მარხვების გარეშე, თვლის ჰალალს (დაშვებულს) დასაშვებად და მოქმედებს მის შესაბამისად, ასევე თვლის ჰარამს (აკრძალულს) აკრძალულად და თავს არიდებს მას, ის შევა სამოთხეში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65003

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee